



თანამედროვე ცეკვის სამოყვარულო კლასები

ზოგადი აღწერა

სიახლითა და სიცოცხლით სავსე თანამედროვე ცეკვის გაკვეთილები ტრადიციული ფორმებით დადგენილი საზღვრების გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. გაკვეთილები ტარდება, როგორც დამწყები მოცეკვავეებისათვის ისე მოყვარულებისათვის. თანამედროვე ცეკვა იდეალურია ყველასთვის, განსხვავებული საცეკვაო მონაცემისა და შესაძლებლობის ნებისმიერ ადამიანში ანვითარებს რიტმს, დამახსოვრებისა და გამეორების უნარს. ხელს უწყობს მოქნილობას, კოორდინაციას, ცეკვის და მუსიკის ხასიათის აღქმის უნარს. ხსნის დამაბულობას და ანვითარებს ფანტაზიას. სწავლის პროცესში ადამიანს უვითარდება თანამედროვე ცეკვის, როგორც აღქმის, დამახსოვრების და გამეორების უნარი, ისე ნასწავლი და უკვე დახვეწილი კომპოზიციების წარმოდგენისა და თავის წარმოჩენის უნარიც.

თანამედროვე ცეკვა მატებს სილალეს და სიმსუბუქეს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

კლასში სამუშაო ძირითადი ვარჯიშები:

- ❖ სხეულის გამაჯანსაღებელი ვარჯიშები და თანამედროვე ცეკვის ტექნიკის ილეთების შესწავლა;
- ❖ რიტმის, კოორდინაციის, იმპროვიზაციული უნარების გამოსამუშავებელი დავალებები;
- ❖ ნასწავლი ილეთების საფუძველზე საცეკვაო კომბინაციები.

ჩართე გონება, სხეული, არტისტული სულისკვეთება და შემოგვიერთდი თანამედროვე ცეკვის გაკვეთილებზე!

თანამედროვე ცეკვის სამოყვარულო კლასები

ინფორმაცია

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი:

მარინა ალექსიძე - გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“
დასის მმართველი-მთავარი ბალეტმაისტერი

საჭირო ინფორმაცია:

ასაკი : 15 წლიდან ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის;

საჭირო მომზადება: არ საჭიროებს წინასწარ მომზადებას ან ცეკვის გამოცდილებას;

ხანგრძლივობა: კლასის ხანგრძლივობა: 60 წუთი;

სწავლების საფასური: ერთი თვის საფასური - ცვალებადია და ზუსტდება ყოველი
სასწავლო წლის დასაწყისში

ყურადღება: პირველი გაკვეთილი საჩუქრად და საცდელად! გაგრძელების
შემთხვევაში აუცილებელია წარმოადგინოთ გადახდის ქვითარი დადგენილი
გრაფიკის მიხედვით. თქვენი მიზეზით გაცდენილი გაკვეთილები არ ანაზღაურდება.

კლასების ჩატარების დღეები და კლასების დაწყების დრო: ცვალებადია და
ზუსტდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში

კლასების ჩატარების ადგილი: გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის
თანამედროვე ბალეტის“ სამუშაო სივრცე.

ჩაცმულობა კლასზე: ტანზე - თავისუფალი ჩაცმულობა; ფეხზე - წინდა

ყურადღება:

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კლასებზე დასწრების სურვილის შემთხვევაში სავალდებულოა რეგისტრაციის გავლა.

სარეგისტრაციო ფორმა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ვებგვერდიდან:

<http://tbilisiballet.ge/geo/education-projects/>

შევსებული სარეგისტრაციო ფორმა გთხოვთ გამოაგზავნოთ ელ.ფოსტაზე:

tbilisiballet@gmail.com

გმადლობთ!

გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტი“

დასის სამხატვრო ხელმძღვანელი

მარიამ ალექსიძე